ქობულეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის
სხდომის ოქმი №52/1

ქ. ქობულეთი „19“ მარტი 2019 წელი

კომისიის წევრები:

1. მირიან ქათამაძე- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;
2. ლევან ზოიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
3. დავით ვერულიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-კომისიის წევრი;
4. ზაზა კაიკაციშვილი-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
5. ასლან ქათამაძე- ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი-კომისიის წევრი;
6. ფატი ჯინჭარაძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი -კომისიის წევრი;
7. გივი ვერულიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი;
8. ზურაბ ამაღლობელი-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის წევრი.
9. თეონა გეგიძე - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;
10. ციცინო ბერიძე-ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვის, ტურიზმისა და საინვესტიციო განვითარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი.

განხილვის საგანი: ქალაქ ქობულეთში (მესხიძის, კაიკაციშვილის, თავისუფლების ქუჩებზე) გარე განათების არსებული წერტების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობის სამუშაოების (45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები) შესყიდვის მიზნით, სატენდერო განცხადების, სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება და ერთიან ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის წევრის ციცინო ბერიძის მოხსენება, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში (მესხიძის, კაიკაციშვილის, თავისუფლების ქუჩებზე) გარე განათების არსებული წერტების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა. (დაფინანსების წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი)

კომისიამ იმსჯელა: სისტემაში ელექტრონულად შევსებულ სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტზე. მოიწონეს პროექტი და მიიღეს გადაწყვეტილება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების თაობაზე.

კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

1. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-15 მუხლის 1-3 პუნქტების შესაბამისად, დამტკიცდეს სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.

2. გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი (აუქციონის გარეშე) არაუგვიანეს 2019 წლის 20 მარტისა.

3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 114`064 (ას თოთხმეტი ათას სამოცდაოთხი) ლარით.

4. შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვროს 1`000 (ათასი) ლარის ოდენობით.

5. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ტენდერის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის სატენდერო კომისიისათვის ოპერატიული მიწოდება.

სატენდერო კომისია:

მირიან ქათამაძე (კომისიის თავმჯდომარე)

ლევან ზოიძე (თავმჯდომარის მოადგილე)

დავით ვერულიძე (წევრი)

ზაზა კაიკაციშვილი (წევრი)

ასლან ქათამაძე (წევრი)

ფატი ჯინჭარაძე (წევრი)

გივი ვერულიძე (წევრი)

ზურაბ ამაღლობელი (წევრი)

თეონა გეგიძე (წევრი)

ციცინო ბერიძე (წევრი)

Kobuleti municipality
2019.03.20 10:14:09
+04'00'